



ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-81. 81242422

თარიღი:29/08/2024

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №26

2024 წლის 26 ოქტომბრის მორიგ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ცაგერის მუნიციპალიტეტში სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

- 2024 წლის 26 ოქტომბრის მორიგ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით ცაგერის მუნიციპალიტეტში სააგიტაციო მასალების განთავსების ადგილი განისაზღვროს დანართის შესაბამისად. (დანართი №1 თან ერთვის)
- განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული შენობა-ნაგებობის გარდა, სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი შესაკუთრების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.
- განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილებით.
- განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი სააგიტაციო მასალის მაქსიმალური რაოდენობა დგინდება შესაბამისი ადგილის ფართობის გათვალისწინებით.
- განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას სააგიტაციო მასალა შემდეგი ზომებით: სიგრძე არაუმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი).
- განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრულ ადგილებზე საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი სააგიტაციო მასალის მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს 10 ცალით.
- სააგიტაციო მასალების განთავსება აკრძალულია: საკულტო ნაგებობებზე, კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და

ძ. ცაგერი, რუსთაველის ძ. N65, ტელ: +995 551179741

ელ.ფოსტა: tsagerissakrebulo@gmail.com

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში, აგრეთვე საგზაო ნიშნებზე განთავსება/გაკვრა.

8. დაუშვებელია და კანონით დადგენილი წესით ისჯება სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, ჩამოხვევა, დაფარვა ან დაზიანება, თუ ის აკრძალულ ადგილას არ არის განთავსებული.
9. ეთხოვოს ცაგერის მუნიციპალიტეტში მოქმედ პოლიტიკურ გაერთიანებათა საარჩევნო შტაბების ხელმძღვანელებს, საარჩევნო სუბიექტებს, არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყონ სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დაეკისრებათ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.
10. ეთხოვოს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის სამსახურებს კონტროლი გაუწიონ კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებას.
11. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „2023 წლის 29 აპრილის ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებთან დაკავშირებით ცაგერის მუნიციპალიტეტში სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის ადგილების გამოყოფის შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის №12 განკარგულება.
12. განკარგულების გამოქვეყნება უზრუნველყოს საკრებულოსა და მერიის შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულებმა (საკრებულოს აპარატი, მერიის ადმინისტრაციული სამსახური).
13. განკარგულება გადაეგზავნოს ცაგერის საოლქო საარჩევნო კომისიას.
14. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.
15. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჭაბუკი ჭაბუკიანი

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ცაგერის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე, იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, სადაც შეიძლება საარჩევნო-სააგიტაციო მასალების განთავსება:

1. ქ. ცაგერის სპორტული დარბაზი - ქ. ცაგერი, ლ. ჩიქოვანის №4
2. ქ. ცაგერის უმწეოთა სასადილოს შენობა - ქ. ცაგერი, კოსტავას ქ. №4
3. ქ. ცაგერის სამხატვრო გალერეა - ქ. ცაგერი, აღმაშენებლის ქ. №32
4. ქ. ცაგერის ავტოსადგური - ქ. ცაგერი, აღმაშენებლის ქ. №37
5. ქ. ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი - ქ.ცაგერი, აღმაშენებლის №71
6. ქ. ცაგერის №1 საბავშვო ბაგა-ბაღი - ქ. ცაგერი, კოსტავას ქ. №31
7. ქ. ცაგერის №2 საბავშვო ბაგა-ბაღი - ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №71
8. ქ. ცაგერის მუნიციპალიტეტში არსებული გარე განათების ბოძები და მგზავრთა მოსაცდელეები.
9. ქ. ცაგერის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი დასახლებული პუნქტების ტერიტორიაზე მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საარჩევნო კანონმდებლობას (კულტურის სახლები, ბიბლიოთეკები, კლუბები და სხვა).
10. ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი - რუსთაველის №43
11. მოსაწავლე ახალგაზრდობის სახლი - რუსთაველის №55
12. სპორტული დარბაზი - ასათიანის ქუჩა №8 ა